ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი

თბილისის არქიტექტურის სამსახური

ბრძანება №3805276

ნომერი: AR1568852

თარიღი : 10.01.2018

გაცემის თარიღი : 02.02.2018

გაცნობის თარიღი : 02.02.2018

შედეგი : თანხმობა.

ობიექტის მისამართი :

ქალაქი თბილისი , ქუჩა ფალიაშვილი , N 67 ;

დამკვეთი-განმცხადებელი

- გიორგი ინასარიძე პ/ნ 01017001114
- თბილისი ზ.ფალიაშვილის ქ. N 40 ბ. 3

ნომენკლატურა :

- სამართლებრივი საკითხები
- ტექნიკური ხარვეზის გასწორება ადმინისტრაციულ - სამართლებრივ აქტში

ვბრძანებ

ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2016 წლის 18 ნოემბრის №2952351 ბრძანებაში ტექნიკური შეცდომის გასწორების თაობაზე
ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურს 2018 წლის 10 იანვარს №AR1568852 განცხადებით მომართეს გიორგი ინასარიძემ და შოთა ევგენიძემ. განმცხადებლებმა მოითხოვეს

ამავე სამსახურის 2016 წლის 18 ნოემბრის №2952351 ბრძანებაში ტექნიკური შეცდომის გასწორება, ტექნიკურ - ეკონომიკურ მაჩვენებლებთან დაკავშირებით.
სამსახურმა, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 96-ე მუხლის მოთხოვნათა შესაბამისად, შეისწავლა საქმისთვის არსებითი მნიშვნელობის მქონე გარემოებები და დაადგინა, რომ სამსახურის 2016 წლის 18 ნოემბრის №2952351 ბრძანებით, შეთანხმდა ქ. თბილისში, ფალიაშვილის ქუჩა N67-ში, შპს "დემორი"-ს საკუთრებაში არსებულ მიწის ნაკვეთზე (ნაკვეთის საკადასტრო კოდი: №01.14.11.020.022) მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლის კორექტირებული არქიტექტურული პროექტი და გაიცა მშენებლობის ნებართვა. მშენებლობის ვადა განისაზღვრა 2016 წლის 18 ნოემბრიდან 2018 წლის 18 ნოემბრის ჩათვლით.
განმცხადებლების განმარტების თანახმად, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2016 წლის 18 ნოემბრის №2952351 ბრძანებაში არასწორად აისახა ტექნიკურ–ეკონომიკური მაჩვენებლები და შესაბამისად, ითხოვენ ტექნიკური შეცდომის გასწორებას ტექნიკურ–ეკონომიკურ მაჩვენებლებთან დაკავშირებით. კერძოდ: კომერციულ ფართობად 381.0 კვ.მ-ის ნაცვლად 375.15 კვ.მ-ის, საოფისე ფართობად 368.0 კვ.მ-ის ნაცვლად 356.15 კვ.მ-ის, საცხოვრებელ ფართობად 2528.0 კვ.მ-ის ნაცვლად 2512.95 კვ.მ- ის, საზაფხულო ფართობად 764.0 კვ.მ-ის ნაცვლად 726.7 კვ.მ-ის, კიბის უჯრედისა და სადარბაზოს ფართობად 431.0 კვ.მ-ის ნაცვლად 398.10 კვ.მ-ის, ავტოსადგომის ფართობად 716.0 კვ.მ-ის ნაცვლად 697.3 კვ.მ-ის, დამხმარე ფართობად 23.0 კვ.მ-ის ნაცვლად 52.45 კვ.მ-ის, საერთო ფართობად 5211.0 კვ.მ-ის ნაცვლად 5118,8 კვ.მ-ის დაფიქსირებას.
სამსახურმა განმცხადებლების მიერ წარმოდგენილი შეცვლილი ტექნიკურ–ეკონომიკური მაჩვენებლები შეადარა შეთანხმებულ გეგმა-ნახაზებს და დაადგინა, რომ საპროექტო დოკუმენტაციაში არასწორად იქნა წარმოდგენილი ტექნიკურ–ეკონომიკური მაჩვენებლები ფართობების არასწორი დაჯამების გამო, რაც შემდგომ აისახა სამსახურის მიერ გამოცემულ გადაწყვეტილებაში. ამასთან, სამსახურმა დაადგინა, რომ გეგმები არ იცვლება, უბრალოდ ხდება გეგმებზე ფართობების დაზუსტება.
საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 59-ე მუხლის თანახმად, ადმინისტრაციულ-სამართლებრივ აქტში ტექნიკური შეცდომის გასწორების უფლება აქვს მის გამომცემ ადმინისტრაციულ ორგანოს.
ამდენად, სამსახურმა მიზანშეწონილად მიიჩნია განმცხადებლების მოთხოვნის დაკმაყოფილება ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2016 წლის 18 ნოემბრის №2952351 ბრძანებაში ტექნიკური შეცდომის გასწორების თაობაზე.
ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 59-ე მუხლის თანახმად,
ვბრძანებ:
1. გასწორდეს ტექნიკური შეცდომა ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2016 წლის 18 ნოემბრის №2952351 ბრძანებაში, კერძოდ: კომერციულ ფართობად დაფიქსირდეს 375.15 კვ.მ, საოფისე ფართობად 356.15 კვ.მ, საცხოვრებელ ფართობად 2512.95 კვ.მ, საზაფხულო ფართობად 726.7 კვ.მ, კიბის უჯრედისა და სადარბაზოს ფართობად 398,10 კვ.მ, ავტოსადგომის ფართობად 697.3 კვ.მ, დამხმარე ფართობად 52.45 კვ.მ, საერთო ფართობად 5118,8 კვ.მ.
2. სამსახურის 2016 წლის 18 ნოემბრის №2952351 ბრძანებით შეთანხმებული -3, -2 -1, 0, პირველი, მე-3, მე-7 და მე-13 სართულზე მდებარე გეგმები ჩანაცვლდეს 2018 წლის 10 იანვრის №AR1568852 განცხადებაზე, 2018 წლის 02 თებერვლის შეტყობინებით წარმოდგენილი -3, -2 -1, 0, პირველი, მე-3, მე-7 და მე-13 სართულზე მდებარე გეგმებით.
3. ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2016 წლის 18 ნოემბრის №2952351 ბრძანება დანარჩენ ნაწილში დარჩეს უცვლელი.
4. წინამდებარე ბრძანება განხილულ იქნას ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2016 წლის 18 ნოემბრის №2952351 ბრძანებასთან ერთად.
5. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერთან, (მის: ქ. თბილისი, ჟ. შარტავას ქუჩა №7), კანონმდებლობით დადგენილი წესით, მისი ოფიციალური წესით გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.